ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2308145

ნომერი: AR1354210

თარიღი : 04.11.2015

გაცემის თარიღი : 20.11.2015

გაცნობის თარიღი : 20.11.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ბენდელიანის და ალექსიძის , ქუჩებს შორის ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ეკატერინე მიშველაძე პ/ნ 01026003810
- თბილისი ვ.დოლიძის ქ. კორ. 28 ბ. 86

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 21.11.2008 წ. #1159 ქალაქთმშენებლობით პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 04.11.2015 წ. #AR1354210 განცხადებით მომართა მიწის ნაკვეთის მესაკუთრის შპს „რემ ინტერნეიშენელ“–ის დირექტორის ზეევ ვლადისლავ ფრენკელის მინდობილმა პირმა ეკატერინე მიშველაძემ და მოითხოვა 21.11.2008 წელს ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის #1159 ქალაქთმშენებლობით პირობებში ცვლილების შეტანა.
სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მიერ 21.11.2008 წელს ქალაქ თბილისში, ბენდელიანისა და ალექსიძის ქუჩებს

შორის მრავალფუნქციური ბიზნესცენტრის აშენების მიზნით დადგინდა #1159 ქალაქთმშენებლობით პირობები, აქტი გაცემულ იქნა 1200 კვ. მ. ფართობის, #01.10.13.040.021 საკადასტრო ერთეულზე.
განმცხადებელი ითხოვს აღნიშნულ პირობებში ცვლილების შეტანას საპროექტო ობიექტის ფუნქციის შეცვლასთან დაკავშირებით, კერძოდ: მრავალფუნქციური შენობა (საოფისე, საცხოვრებელი) დაფიქსირებით.
“მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ~ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 99-ე მუხლის თანახმად იმ ობიექტებზე, რომელთა მიმართაც ამ დადგენილების ძალაში შესვლამდე დაწყებულია მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცედურა ან გაცემულია მშენებლობის ნებართვა, მაგრამ შენობა-ნაგებობა არ არის ვარგისად აღიარებული, გავრცელდება განაცხადის შეტანის მომენტისათვის მოქმედი კანონმდებლობა.
ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 21.11.2008 წ. #1159 ქალაქთმშენებლობით პირობები გაცემულია “მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ~ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს #140 დადგენილების საფუძველზე, რომლის თანახმადაც ქალაქთმშენებლობით პირობებში უნდა აისახოს საკადასტრო ერთეულის ცვლილებები.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია ქალაქთმშენებლობით პირობებში შეიტანოს ცვლილება.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, “მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ~ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 99-ე მუხლის, “მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ~ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს #140 დადგენილებისა და ,,ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურისათვის ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებში ცვლილებების და დამატებების შეტანის, შეცდომის გასწორების, მათი ბათილად ცნობის, ძალადაკარგულად გამოცხადებისა და არარად აღიარების უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე” ქალაქ თბილისის მერის 2009 წლის 9 მარტის #194 განკარგულების შესაბამისად,

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 21.11.2008 წ. #1159 ქალაქთმშენებლობით პირობებში, კერძოდ: საპროექტო ობიექტის ფუნქციად დაფიქსირდეს: მრავალფუნქციური შენობა (საოფისე, საცხოვრებელი);
2. ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 21.11.2008 წ. #1159 ქალაქთმშენებლობით პირობებს დაემატოს ჩანაწერი: – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის #4267 (18.11.15.) ბრძანების შესაბამისად გაიცა სპეციალური ზონალური შეთანხმება და მიწის ნაკვეთის მრავალფუნქციური შენობა (საოფისე, საცხოვრებელი) ფუნქციით განვითარებისთვის ქალაქთმშენებლობითი პარამეტრები განისაზღვრა კ–1=0.7 და კ–2=4.0;
3. ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 21.11.2008 წ. #1159 ქალაქთმშენებლობით პირობებს დაემატოს დოკუმენტაცია: ქალაქ თბილისის ტერიტოიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულრიების საკითხთია საბჭოს სხდომის ოქმი #51 (05.11.15.) და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 18.11.2015. წლის #4267 ბრძანება;
4. ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 21.11.2008 წ. #1159 ქალაქთმშენებლობით პირობებს შენიშვნის სახით დაემატოს ჩანაწერები:

- ღია და დახურული ავტოფარეხების რაოდენობა განისაზღვროს ბინების რაოდენობის შესაბამისად;
- პროექტის დამუშავების დროს გათვალისწინებულ იქნეს ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს #51 (05.11.2015 წ.) სხდომის წევრთა რეკომენდაციები;
- სხვა პირობები დარჩეს უცვლელი.

5. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 21.11.2008 წ. #1159 ქალაქთმშენებლობით პირობებთან ერთად;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: შარტავას ქუჩა #7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

• დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.